19
მარტი

სამშაბათი,
1963 წ.
№ 55 (2160)
გამოცემის მე-19 წელი
ფასი 2 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

## ნ. ასათიანი — პრეტენდენტი

ვარშავაში გაიხსნა ტრადიციული საერთაშორისო პირად-გუნდური ტურნირი ხმლით ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობენ უნგრეთის, სსრ კავშირის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის (ორი) გუნდები. სსრ კავშირის გუნდი ამ შეჯიბრებაზე წარმოდგენილია ი. რილსკით, უ. მავლიხანოვით, მ. რაკიტათი და ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენით — ნ. ასათიანით.

შეჯიბრების პირველსავე დღეს საბჭოთა მოფარიკავეები შეხვდნენ გასულ წელს ამავე ტურნირში გამარჯვებულ უნგრელთა გუნდს. ბრძოლა თავიდანვე დაძაბულ ხასიათს ატარებდა, რამაც თავი იჩინა ანგარიშშიც, რომელიც ორჯერ იყო საყაიმო — 2:2, 4:4. შემდეგ წინ გავიდნენ უნგრელები, რომლებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 10:6. საბჭოთა გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნ. ასათიანი, რომელმაც დამაჯერებლად მოიგო ოთხივე შეხვედრა და ამით სერიოზული განაცხადი წარადგინა პირად ჩათვლაში გამარჯვებაზე.

სხვა შეხვედრებში პოლონეთის პირველმა გუნდმა დაამარცხა თავისივე თანამემამულენი — მეორე გუნდი — 15:1 და ჩხვლეტათა უკეთესი შეფარდებით მოიპოვა უპირატესობა იტალიელებთან — 8:8. უნგრელებმა დაამარცხეს გერმანელები — 14:2.

## ნორვეგიის ტრადიციული

ნორვეგიაში გრძელდება ჰოლმენკოლენის 66-ე თამაშები სათხილამურო სპორტში. ქალთა 10 კმ დისტანციაზე წარმატებით გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონი ა. კოლჩინა. მან ეს მანძილი გაირბინა 39 წუთსა და 25,3 წამში, რითაც ერთ წუთზე მეტით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ფინელ მ. ლეპტონენს. 15 კმ-ზე მესამე ადგილის მოპოვების შემდეგ 50 კმ რბენაში შედარებით წარუმატებლად გამოვიდა პ. კოლჩინი. ამჯერად იგი ფინიშზე მხოლოდ მეექვსე იყო — 2:56,6. გამარჯვებულ რ. პერსონის (შვეცია) შედეგია 2.52,33.

ორჭიდში უძლიერესი იყო ოლიმპიური ჩემპიონი გ. ტომა (გფრ), მან 505,10 ქულა მოაგროვა. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო ნ. კისელიოვი მეხუთე ადგილზე გამოვიდა — 438,10 ქულა.

## ყველა ოქროს მედალი — ს. დემიდოვას

ჩეგეტის ფერდობზე ქალთა გიგანტური სლალომით დამთავრდა სამთო-მოთხილამურეთა საკავშირო პირველობა. შესანიშნავ შედეგს მიაღწია დინამოელმა ს. დემიდოვამ. მან ამ სეზონის პირველი ოქროს მედალი მოიპოვა სპეციალურ სლალომში, შემდეგ „დუბლი“ გააკეთა სწრაფდაშვებაში და ბოლოს გიგანტური სლალომის 1600-მეტრიანი ტრასა გაიარა 2.10,0-ში, 4,2-ით აჯობა მეორე პრიზიორს, სპარტაკელ ლ. ვოლკოვას.

როცა შეჯამდა სამჭიდის შედეგები, ს. დემიდოვას არც ერთი საჯარიმო ქულა არ ჰქონია და მისი ოქროს მედლების „ნადავლს“ კიდევ ერთი ოქროს მედალი მიემატა. ოთხი პირველი ადგილი ერთ ჩემპიონატზე სამთო-სათხილამურო სპორტში იშვიათი მოვლენაა. სამჭიდში მეორე იყო ე. კაზინა („დინამო“), მესამეზე გამოვიდა ა. ივანოვა („ლოკომოტივი“).



## მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონი

კვირას, 17 მარტს, შვეციის დედაქალაქის ყინულოვან სტადიონ „იუჰანესჰოფზე“ ვნებათა ღელვამ შაიბიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობასთან დაკავშირებით კულმინაციურ წერტილს მიაღწია. იმისათვის, რომ მკითხველისათვის ცხადი შეიქნეს მდგომარეობის მთელი სიმწვავე, საჭიროა გავაკეთოთ პატარა ექსკურსი უკანასკნელისწინა ტურამდე, სადაც შვედებმა დაამარცხეს კანადელები. ამ გამარჯვების შემდეგ ჩემპიონატის მასპინძლებს უკანასკნელ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან ფრეც კი აწყობდათ იმისათვის,

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

სურათზე: მომენტი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩიდან — სსრკ-ჩეხოსლოვაკია. საბჭოთა თავდამსხმელს ვ. სტარშინოვს გააქვს მესამე შაიბა.





კვირას, 17 მარტს, ჩვენი რესპუბლიკის არაერთმა ახალგაზრდამ პირველად განიცადა მანამდე არნახული სიხარული — ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. მათ შორის ბევრნი იყვნენ სპორტსმენებიც. ჩვენი ფოტორეპორტიორ მ. ზარგარიანის მიერ გადაღებული ეს სურათები სწორედ ახალგაზრდა ამომრჩევლების, სპორტსმენების ამ ზეიმში პირველ მონაწილეობაზე მოგვითხრობს. მარცხენა სურათზე ალბექდილია რ. ჩუბინიძე, რომელმაც ხმა მისცა თბილისის 1 მაისის რაიონის № 33 საარჩევნო უბანში. იგი ბიულეტენს უშვებს ურნაში. მარჯვენა სურათზეა თბილისის სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლე მ. ცინცაძე, როცა იგი კაბინაში გულდასმით გაეცნო ბიულეტენს და ახლა ურნისაკენ მიემართება, რათა თავისი ხმა შეუერთოს ათასების ხმას.

# შეჯიბრება მსოფლიო რეკორდებით

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დამთავრდა მსოფლიოს უძლიერეს ძალოსანთა შეჯიბრება.

შეჯიბრების პირველ დღეს, 15 მარტს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მჩატე და ქვემსუბუქი წონის ძალოსნები. როგორც მოსალოდნელი იყო, მჩატე წონაში პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად ვ. მარზაგულოვსა და იაპონელ ს. ისინოსეკის შორის გაიმართა. ვ. მარზაგულოვმა აჯიმვაში 12,5 კილოგრამი მოუგო იაპონელს. შემდეგ მან განსხვავება სამჭიდის ჯამში 15 კილოგრამამდე გაზარდა, მაგრამ ს. ისინოსეკიმ მებრძოლის შესანიშნავი თვისებები გამოამჟღავნა და მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარა იუნიორთა შორის.

ქვემსუბუქ წონაში ამერიკელმა ი. ბერგერმა საწყისი წონა ვერ აჰიმა და შეჯიბრება დატოვა. ბრძოლა პირველობისათვის საბჭოთა ძალოსან ე. კაცურასა და უნგრელ ი. ფელდის შორის უნდა გამართულიყო, მაგრამ აქ მოულოდნელად პაექრობაში ჩაერია ახალგაზრდა რუმინელი ძალოსანი ფ. ბალაში. მან ორივე მეტოქე დაჯაბნა აკვრაში, მაგრამ სამჭიდში მაინც 2,5 კილოგრამი წააგო საბჭოთა სპორტსმენთან. გაიმარჯვა ე. კაცურამ — 357,5 კილოგრამი.

შეჯიბრების მეორე დღე ყველაზე ნაყოფიერი იყო მსოფლიო რეკორდების დამყარების მხრივ. მსუბუქ წონაში ბრწყინვალედ გამოვიდა ს. ლოპატინი. მან მსოფლიოს სამი ახალი რეკორდი დაამყარა: აჰიმა 136 კილოგრამი, აიტაცა 131 კილოგრამი და სამჭიდში 417,5 კილოგრამი დააგროვა, რითაც პირველი ადგილიც მოიპოვა. ქვესაშუალო წონაში საბჭოთა ძალოსანმა ვ. ბელიევმა 415 კილოგრამი დააგროვა და პირველი ადგილი დაისაკუთრა, საშუალო წონაში პირველი ადგილი დაისაკუთრა დ. ვერეშმა (უნგრეთი).

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ასპარეზობდნენ ქვემძიმე და მძიმე წონის ძალოსნები. ქვემძიმე წონაში მსოფლიო რეკორდსმენს ამერიკელ ბ. მარჩს პირველობას საბჭოთა ძალოსანი ე. ბროვკო ეცილებოდა. აჰიმვაში ორივემ ერთნაირი წონა — 145 კილოგრამი ასწია. შემდეგ საბჭოთა ძალოსანმა მეტოქეს 12,5 კილოგრამით მოუგო სამჭიდში. მისი შედეგია 465,5 კილოგრამი. მძიმე წონაში მაყურებელი დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ახალგაზრდა საბჭოთა გოლიათის, ლ. ჟაბოტინსკისა და ძალოსნობის ვეტერანის ამერიკელ ნ. შემანსკის ორთაბრძოლას. აჰიმვაში საბჭოთა ძალოსანმა 10 კილოგრამით მოუგო ამერიკელს, ხოლო სამჭიდის ჯამში სხვაობა 20 კილოგრამამდე, გაზარდა. ლ. ჟაბოტინსკის შედეგი — 520 კილოგრამი „მოსკოვის პრიზზე“ შეჯიბრებების რეკორდიცაა და სპორტსმენის პირადი რეკორდიც.

ა. ცეხანელი

## ამ ნომერში:

★ ხელოვნების მაღალი იდეურობისათვის.
★ პრიზიორი ფინალის მიღმა.
★ გავაკეთოთ საჭირო დასკვნები.
★ ვინ იქნება სამყაროს ნაკრების მწვრთნელი?

# სპორტულმა თემამ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის შემოქმედებაში!

★ ★ ★



ქართველ ხალხს ძველთაგანვე უყვარდა ცხენოსნობა, სპორტის ეს ერთ-ერთი შესანიშნავი სახეობა, რომელიც მას კუნთმაგარ თაობებს უზრდიდა სამშობლოს დაცვისათვის.

ეს თემა აქვს აღებული თავისი ფერწერული ნაწარმოებისათვის ქართველ მხატვარ ქალს—მ. მეტრეველს. ამ ნაწარმოებს, რომლის ფოტორეპროდუქციასაც თქვენ ხედავთ, ეწოდება — „დოღი ძველ ხონში“.

ს. ნაციაშვილი

## მიეძღვნა ხალხთა სპარტაკიადას

სსრ კავშირის სპორტული პრესისა და რადიოს ფედერაციის პრეზიდიუმის მორიგი პლენუმი მიეძღვნა სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადას, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში გაიმართება მოსკოვში. განხილულ იქნა ამ დიდი შეჯიბრების პროპაგანდის საკითხი. სიტყვებში გამოსული ორატორები ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ ემზადებიან ჩვენი ქვეყნის გაზეთებისა და რადიოს რედაქციები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროპაგანდისა და მისი გაშუქებისათვის.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აპრილში მოსკოვში მოეწყოს ფედერაციის პლენუმი, რომელიც ხალხთა სპარტაკიადის პროპაგანდის საკითხს მიეძღვნება. სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელად ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ რედაქტორი ჰ. სობოლევი.

ფედერაციის პრეზიდიუმმა მოუწოდა სპორტულ ჟურნალისტებს აქტიურად ჩაებან სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პროპაგანდის საქმეში.

# ხელოვნების მაღალი იდეურობისათვის

პარტიას დიდი, გულახდილი და პრინციპული საუბარი ჰქონდა ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებთან. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან — „მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი ძალაა“ წარმოადგენს ამ დიდი საუბრის დედაარსს.

თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა მწერლობამ, ხელოვნებამ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია როგორც მხატვრული, ისე იდეური თვალსაზრისით. ბევრი საბჭოთა მწერალი, მათი ნაწარმოებები ხალხის წინაშე მაღალი მოქალაქეობრივი ვალის მოხდის, ხალხისადმი კეთილშობილური სამსახურის ჭეშმარიტ ნიმუშად იქცა. ხალხი, პარტია აფასებს ისეთი სახელოვანი მწერლების შემოქმედებას, როგორნიც იყვნენ და არიან მაქსიმ გორკი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ნიკოლოზ ოსტროვსკი, მიხეილ შოლოხოვი და სხვანი, რომელთა ნაწარმოებები მაღალი იდეებითა და იდეალებით ზრდიან ახალ-ახალ თაობებს სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლისათვის.

დღეს, კაპიტალიზმთან და იმპერიალიზმთან მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლის რთულ პირობებში, განსაკუთრებით მოეთხოვება ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებას იყოს მაღალიდეური, პარტიული, შეურიგებელი მისი განვითარების გენერალური გზიდან ყოველგვარი გადახვევისადმი. „მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მოქანდაკეების, კინოსა და თეატრების მუშაკების — მთელი შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობა, — თქვა თავის სიტყვაში ნ. ს. ხრუშჩოვმა, — მუდამ პარტიისა და ხალხის თვალთახედვის არეშია. და ეს სავსებით გასაგებია. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როცა ლიტერატურა და ხელოვნება, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა იწინასწარმეტყველა, საერთო-სახალხო საქმის განუყოფელი ნაწილი გახდა“. პარტიისა და მთავრობის მეთაურმა უდიდესი დამაჯერებლობით ილაპარაკა კომუნიზმის მშენებლობასთან დაკავშირებით დასმული მხატვრული შემოქმედების ამოცანებზე, იმაზე, რომ პარტიულობა და ხალხურობა ჩვენი ხელოვნების უმნიშვნელოვანესი პრინციპია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა საერთაშორისო ცხოვრებაში ერთის წამითაც არ ნიშნავს მშვიდობიან თანაარსებობას იდეოლოგიის დარგში. ჩვენ იდეოლოგიის დარგში მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგნი ვართ, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

უკანასკნელ დროს ჩვენს მწერლობასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში თავი იჩინა ცალკეულმა არაჯანსაღმა მოვლენებმა, რომლებიც პრინციპშივე ეწინააღმდეგებიან საბჭოთა ლიტერატურის პარტიულობას, მის მაღალ იდეურობას. გამოჩნდნენ, კერძოდ, ფორმალიზმისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვა გამოვლინებათა, ე. წ. „ნოვატორობათა“ ცალკეული თაყვანისმცემლები, რომლებმაც როგორც იდეურ, ისე მხატვრულ ფორმაში დაუშვეს უხეში შეცდომები. სწორედ ამ თვალსაზრისით პირუთვნელად იქნენ გაკრიტიკებულნი ი. ერენბურგი, ე. ევტუშენკო, ვ. ნეკრასოვი, კინოფილმ „ილიჩის საგუშაგოს“ შემქმნელები და სხვ.

ჩვენი მწერლების, ხელოვნების მუშაკების მიერ არაერთი ნაწარმოები იქმნება ფიზკულტურისა და სპორტის თემაზეც. ამ მხრივაც ფართო ასპარეზია გადაშლილი როგორც მწერლობის, ისე კინემატოგრაფიის, მხატვრობის, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგებში. სპორტულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა სწორედ, მაღალი პარტიული პრინციპულობითა და მხატვრულობით აშუქებს საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობასა და სპორტულ ცხოვრებას. მაგრამ, მათ შორისაც ვხვდებით ცალკეულ ქმნილებებს, რომლებიც ყალბ შუქზე წარმოადგენენ კომუნისტური აღზრდის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს. ფორმალიზმისა და სხვა „ნოვატორობებისაკენ“ სწრაფვას, ასასახი ობიექტის უცოდინარობას არ შეიძლება არ მოჰყვეს სიყალბე ჩვენი ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების ცხოვრების ასახვაში. ასეთი რამ კი ხანდახან შეიმჩნევა აღნიშნულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში. რა თქმა უნდა, არ შეიძლება დიდი იდეოლოგიური შეცდომები მივაწეროთ ახალგაზრდა ქართველი მწერლის რ. ჰეიშვილის არც თუ დიდი პრეტენზიების მქონე მოთხრობას — „ჩემპიონს“, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ გვერდი ავუხვიოთ მასში ავტორის მიერ გამოვლენილ სპორტული ცხოვრების უცოდინარობას, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა უხეში შეცდომები მხატვრულ ასახვაში, ხშირად გაუგებრობანიც კი. ამავე თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ა. გომართელის ქანდაკება — „დილის ტანვარჯიში“, აგრეთვე რ. შეროზიას სკულპტურული ნაწარმოები — „ფიზკულტურელი“ და სხვ.

პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი და მათთან ერთად —ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებრიობა ახალ, მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს მოელის საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისაგან.

# ჩემს ფალავანს...

ნოდარ ნარსია

სამშობლოს თუ კი დასჭირდი კაცად,
თუ ჩემი დიდი სამშობლო გენდო...
ეს იმას ნიშნავს: — გადიქცე ასად,
მუხლებში უნდა კოცონი გენთოს.
ეს იმას ნიშნავს: — სიცოცხლე შენი
სჭირდება მასვე, ვინც იგი მოგცა.
ვაჟკაცს ასეთი სახელი შვენის,
ეს არის ჩვენი დედების ლოცვა.
მხოლოდ წინ! უკანდახევის ნაცვლად,
უნდა გიჭრიდეს ქორული თვალი,
სხვა სამშობლო ხომ არ არის არსად!
დროს —
კაცმა მისთვის გასწიროს თავი.
და როცა სუნთქვა ეკვრება დარბაზს,
როცა გულდაგულ გიხდება შებმა —
შენც ამგვარ გრძნობას განიცდი ალბათ
და გულში ხინჯი არასდროს გრჩება,
როდესაც შენგან მეტოქე გარბის,
როცა მეტოქეს ვეფხვივით დასდევ —
მე ვყვირი: ყოჩაღ!
ასეა კარგი!
წინაპრებს მუდამ სჩვევოდათ ასე!
მე მინდა გნახო კიდევ და კიდევ,
გამარჯვებათა კვარცხლბეკზე მდგარი
ჩემს ალტაცებას არ ჰქონდეს კიდე,
მუხლს გიკოცნიდეს სამშობლოს ქარი.
სამშობლოს თუ კი დასჭირდი კაცად,
თუ ჩემი დიდი სამშობლო გენდო,
ეს იმას ნიშნავს —
გადიქცე ასად
ძარღვებში უნდა კოცონი გენთოს.



✦

აჰა, მწვერვალიც,
წერაყინმა
უკანასკნელი
ბილიკის კიბის
საფეხური
გამრა წვალებით,
დაბლა აღმოჩნდა
ერთმანეთზე
გადანასკვული
დამარცხებული
კლდეკარები
და მწვერვალები!

✦

ფოტოეტიუდი
დ. იაკობაშვილისა.

## ორი საბჭოთა გუნდი ნახევარფინალში

შედგა განმეორებითი მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის. მოსკოვის დინამოელებმა ანგარიშით 3:1 (15:3, 3:15, 15:10, 15:6) დაამარცხეს თავიანთი თანაკლუბელები ბერლინიდან და გავიდნენ ნახევარფინალში. გათამაშების მომავალ ეტაპზე მათი მეტოქე იქნება ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ს ჩემპიონთა მატჩში გამარჯვებული.

• • •

გასულ კვირას მოსკოვში მეორე მეოთხედფინალური მატჩი შედგა ვაჟთა გუნდებს შორისაც. ერთმანეთს ხვდებოდნენ ცსკა და ჩეხოსლოვაკიის „ლოკომოტივი". გამარჯვებულის გამოსავლენად ფრენბურთელებს დაჭ რდათ 5 პარტი ს ჩატარება, სადაც გამარჯვება ცსკა-ს დარჩა ანგარიშით 3:2. ამგვარად, მოსკოვის არმიელები ნახევარფინალში გავიდნენ.

## ერთი ფინალისტი ცნობილია

ამ დღეებში პრაღაში ჩატარდა მორიგი მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებოდნენ ნახევარფინალისტები — ადგილობრივი „დუკლა" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი „ჰეპინგენი". ეს იყო მათი განმეორებითი შეხვედრა. ისევე როგორც პირველ მატჩში (9:7), გაიმარჯვეს ჩეხებმა (24:14) და გავიდნენ ფინალში.

მეორე ფინალისტი გაირკვევა ბუქარესტის „დინამოსა" და კოპენჰაგენის „ორჰუსის" შეხვედრებში.

# მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონი

(დასასრული)

რომ მსოფლიოს ჩემპიონობა მოეპოვებინათ. პირველი ადგილის შანსები სხვა გუნდებ დან რჩებოდათ მხოლოდ საბჭოთა ჰოკეისტებს. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შანსები რეალობად ქცეულიყო, შვედებს უნდა წაეგოთ თავიანთი უკანასკნელი შეხვედრა ჩეხებთან, ხოლო ჩვენს სპორტსმენებს მოეგოთ კანადელებისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა აჟიოტაჟი სუფევდა „იუჰანესჰოფზე", როდესაც 16 ათასი შვედი მაყურებლის თანდასწრებით მიმდინარეობდა შეუპოვარი, მეტად მძიმე მატჩი შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებებს შორის. ადვილი წარმოსადგენია ჩემპიონატის მასპინძლების განწყობილებაც მას შემდეგ, რაც ამ მძიმე ბრძოლაში მათმა გუნდმა დამარცხება განიცადა — 2:3.

ამრიგად, ჩემპიონატ ს ბედის საკითხი ამ მატჩის შემდეგ მთლიანად დაუკავშირდა უკანასკნელ, დამაგვირგვინებელ შეხვედრას საბჭოთა და კანადელ ჰოკეისტებს შორის და ამ შეხვედრის შედეგს დაექვემდებარა.

ჩვეულებრივ შვეციაში არ უყვართ კანადელი ჰოკეისტები. ამის მიზეზია ამ უკანასკნელთა მეტად უხეში თამაში. ეს ანტიპათია კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც შვეცია-კანადის მატჩის წინ კანადის ერთ-ერთმა გაზეთმა შვედ ჰოკეისტებზე დაბეჭდა წერილი, რომელშიც იგი მათ „მტირალ პატარა ბავშვებს, ან მოსლუკუნე ბებერ დედაკაცებს" ადარებდა და თავის მკითხველებს აფრთხილებდა: „არ გაგიკვირდეთ, თუ ჩვენთან მატჩში შვედები ნეილონის საცვლებსა და ბიუსტჰალტერებში გამოვლენ. ასეთი ფორმა მათ ყველაზე მეტად შეეფერებათ". მითუმეტეს, რომ ეს წერილი შვეციის რამდენიმე გაზეთმა სიტყვა სიტყვით გადაბეჭდა.

მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, სატურნირო მდგომარეობამ უკარნახა მასპინძლებს, რომ კანადა-სსრ კავშირის მატჩში უკუეგდოთ თავიანთი ანტიპათიები და ხმის ჩახლეჩამდე ექომაგნათ ოკეანესგაღმელი ჰოკეისტებისათვის. საკმარისი იყო კანადელებს მოეგოთ, ან თუნდაც ფრედ დაემთავრებინათ შეხვედრა საბჭოთა ჰოკეისტებთან, რომ ჩემპიონთა თასი შვეციაში დარჩებოდა.

ასეთ რთულ პირობებში მოუხდათ ბრძოლა ჩვენს სპორტსმენებს. და მათ შეძლეს ბრწყინვალედ ჩაებარებინათ ძნელი გამოცდა. მატჩს მთელი მსვლელობის მანძილზე, უკანასკნელ წამებამდე, თავის ორბიტში ჰყავდა მოქცეული მრავალათასიანი სტადიონი და სულ მცირე შესვენების საშუალებასაც არ აძლევდა მას. ფინალურმა სანტვენმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის ნაკრების შესანიშნავი გამარჯვება — 4:2, რამაც ჩვენს გუნდს მოუტანა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა მაღალი წოდებები.

მასპინძლები მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ. მათაც, ისევე როგორც საბჭოთა ნაკრებმა, დააგროვეს 12 ქულა და პირველობა დათმეს მხოლოდ გატანილი და მიღებული შაიბების უარესი სხვაობით (სსრ კავშირი — 50-9, შვეცია — 44-10). მესამე ადგილი წილად ხვდა ჩეხოსლოვაკელებს — 11 ქულა. 9 ქულით მეოთხე ადგილზეა კანადა.

მომდევნო ადგილებზე 3-3 ქულით და შაიბების სხვაობათა მიხედვით გავიდნენ: ფინეთი (20-35), გდრ (16-43), გფრ (18 56) და აშშ (21-64).

## მოკრივეთა რესპუბლიკური შეჯიბრება

# გავაკეთოთ საჭირო დასკვნები

სამდღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა რესპუბლიკის მოკრივეთა შერჩევითი ტურნირი. ასპარეზობის უკანასკნელ დღეს გაიმართა ფინალი 20 უძლიერეს მოკრივეს შორის.

უმჩატეს წონაში თბილისელი ოსტატის გ. ჩობანიანისა და ბათუმელი გ. ფერაძის ბრძოლამ თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო, ოსტატი ცდილობდა დისტანციური უპირატესობის მოპოვებას, ხოლო ბათუმელი მეტოქეს თავს ახვევდა ახლო ბრძოლას. საბოლოოდ უკანასკნელის ტაქტიკა უფრო მართებული აღმოჩნდა და თბილისელი ოსტატი დამარცხდა.

მჩატე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი სპორტის ოსტატი ნ. ქიქავა და რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე ლ. მნაცაკანოვი. სამრაუნდიანი ბრძოლა დამთავრდა ნ. ქიქავას დამსახურებული გამარჯვებით. მომდევნო წონაში ფინალური წყვილი იყო საბჭოთა კავშირის 1962 წლის ზონალური პირველობის პრიზიორი, სპორტის ოსტატი გ. ვარდანიანი და რ. მუკოიანი („შრომითი რეზერვები"). ვარდანიანმა ლამაზად და ტექნიკურად ჩაატარა ბრძოლა და უძლიერესის სახელი მოიპოვა. მსუბუქ წონაში ერთმანეთს ებრძოდა ორი თბილისელი ოსტატი, საქართველოს 1962 წლის ჩემპიონი გ. ხორნაული და შეიარაღებული ძალების 1962 წლის პრიზიორი ვ. ცერცვაძე. აღსანიშნავია, რომ ისინი ფინალში ორ-ორი გამარჯვებით მოვიდნენ, ხოლო უკანასკნელმა დაამარცხა ისეთი ძლიერი მეტოქე, როგორიც არის ქუთაისელი ჯ. კვანტალიანი. სწორედ ამიტომ ამ ორთაბრძოლამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველმა რაუნდმა შედეგი ვერ გამოიღო. მეორე რაუნდში გააქტიურდა გ. ხორნაული, იგი დიდი სიზუსტით აყენებდა მარცხენა პირდაპირ დარტყმებს თავის ძლიერ მეტოქეს და ხშირად თავაზობდა ახლო ბრძოლას. უნდა ითქვას, რომ გ. ხორნაულს ასე ტაქტიკურად და ტექნიკურად არასდროს უბრძოლია. რაც შეეხება ვ. ცერცვაძეს, მან დაამტკიცა, რომ იგი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი და ტექნიკური მოკრივეა მსუბუქ წონაში.

მომდევნო ფინალური წყვილი იყო ზ. კოზაევი და ზ. მაჰავარიანი. პირველი შეტევას შეტევაზე ავითარებდა, ხოლო ქუთაისელი, რომელსაც წინა ბრძოლაში წარბი ჰქონდა დაზიანებული, ფრთხილი და ტექნიკური გასვლებით იცავდა თავს. მეორე რაუნდში ზ. მაჰავარიანი კონტრშეტევაზე გადავიდა, მან ძლიერი მარცხენა და მარჯვენა დარტყმებით საჭირო ქულები დააგროვა. უკანასკნელ რაუნდში ზ. კოზაევი ნერვიულობდა, დაკარგა მანძილის გრძნობა და საბოლოოდ წააგო კიდეც შეხვედრა.

მეორე ქვესაშუალო წონაში წარმატებით გამოვიდა ბათუმელი ბ. ზატიკიანი.

მომდევნო წონაში ვ. ქველიაშვილმა ვერაფერი გააწყო საქართველოს ოთხგზის ჩემპიონთან მ. მამათავრიშვილთან და დამარცხება იგემა.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის ოსტატ რ. აკოფოვისა და ვ. ლაშჩენკოს შეხვედრა. გაიმარჯვა პირველმა. ქვემძიმე წონაში რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე, თბილისელი ა. ფროლოვი შეხვდა ფოთელ პირველთანრიგოსან ა. შეროზიას. უკანასკნელმა დამარცხების მიუხედავად ღირსეული მეტოქეობა გაუწია გამოცდილ მოკრივეს.

მძიმე წონაში იბრძოდა ორი ჩემპიონი — დ. ჩოგოვაძე (რესპუბლიკისა) და ტ. მარქარიანი (სოხუმის). სამი რაუნდი, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, დამთავრდა საქართველოს ჩემპიონის გამარჯვებით.

რა შეიძლება ითქვას განვლილი ასპარეზობის შესახებ? მხოლოდ ის, რომ ნაკრები საჭიროებს სერიოზულ მომზადებას. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ როგორც ქალაქის, ისე რესპუბლიკის სექციების ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სპორტსმენთა ფიზიკურ მომზადებას. განსაკუთრებით უკანდახევა იგრძნობა ქუთაისში, ქალაქში, სადაც კრივის მდიდარი ტრადიციები უკანასკნელ ხანებამდე იყო შემორჩენილი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადამდე საკმაო დროა დარჩენილი. იმედია, რომ მწვრთნელები სერიოზულად გააანალიზებენ შეჯიბრების გაკვეთილებს და გააუმჯობესებენ მოკრივეებთან მუშაობას.

ე. ქელბაქიანი

* * *

**სურათზე:** გ. ხორნაულის (მარჯვნივ) და ს. რზაევის ბრძოლის მომენტი.

ფოტო რ. მაჩხოშვილისა.



# პრიზიორი ფინალის მიღმა

### საბჭოთა კავშირის 1963 წლის ჩემპიონატი ხელბურთში

თბილისში, დუშანბეში, რიგაში, კაუნასში და ტალინში უკვე დამთავრდა ხელბურთში 1963 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ზონალური თამაშები. ამგვარად, როგორც ქალთა გუნდებს შორის, ისე ვაჟთა შორისაც გაირკვა 10-10 ფინალისტი. ქალთა შორის ჩემპიონის ალისფერი მაისურებისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს ჩერკასის პედაგოგიური ინსტიტუტის, სვერდლოვსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, მოსკოვის „ტრუდის", კაუნასის „ჟალგირისის", ოდესის „ლოკომოტივის" (ეს გუნდები ფინალში 2-2 ქულით გავიდნენ), ბაქოს „ლოკომოტივის", ტაშკენტის გუნდის, ვილნიუსის „ჟალგირისის", მინსკის „ბურევესტნიკისა" და კრასნოიარსკის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივებმა (ეს გუნდები ფინალში წაგებით შევიდნენ). შარშანდელი ფინალისტებიდან წლევანდელი გათამაშების ფინალში არ მოხვდნენ კიევის „უკრკაბელი" და ლენინგრადის სკიფი. ფინალის დებიუტანტები არიან ჩერკასის, ტაშკენტისა და კრასნოიარსკის კოლექტივები.

ახლა ვაჟთა გუნდების შესახებაც. ქვემოთ მოგვყავს ფინალისტთა სატურნირო მდგომარეობა გადამწყვეტი თამაშების დაწყების წინ:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტრუდი" (მ.) | 1 | 1 | 0 | 0 | 31:21 | 2 |
| „ბურევესტ." (კ.) | 1 | 1 | 0 | 0 | 19:3 | 2 |
| რსფსრ-ს გუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 28:25 | 2 |
| „ალ. სტრ." (ზაპ.) | 1 | 1 | 0 | 0 | 10:9 | 2 |
| „დინამო" (ბაქო) | 1 | 1 | 0 | 0 | 13:11 | 2 |
| „ბურევესტ." (თბ.) | 1 | 0 | 0 | 1 | 11:13 | 0 |
| „ტრუდი" (ლ.) | 1 | 0 | 0 | 1 | 3:19 | 0 |
| „ატლეტასი" (კნ.) | 1 | 0 | 0 | 1 | 25:28 | 0 |
| მაი (მოსკოვი) | 1 | 0 | 0 | 1 | 9:10 | 0 |
| ტაშკენტის გუნდი | 1 | 0 | 0 | 1 | 21:31 | 0 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფინალში არ მოხვდა გასული წლის ჩემპიონატის პრიზიორი (II ადგილი) ტირასპოლის გუნდი. 1962 წლის ჩემპიონი თბილისის „ბურევესტნიკი" ფინალში ორი დაკარგული ქულით შევიდა. ასეთივე ბედი ეწია მესამე პრიზიორს კაუნასის „ატლეტასსაც". ფინალის მიღმა დარჩნენ მვტუ (მოსკოვი) და მინსკის „ბურევესტნიკი". ეს გუნდები შარშანდელ ჩემპიონატში შესაბამისად VII–VIII ადგილებზე გავიდნენ. წლევანდელი ფინალის დებიუტანტები არიან რსფსრ-ს გუნდი, „დინამო" (ბაქო), „ტრუდი" (ლენინგრადი), მაი (მოსკოვი) და ტაშკენტის კოლექტივი.

ფინალური თამაშების პირველი ეტაპი ჩატარდება 17-დან 21 აპრილამდე თბილისსა და კაუნასში (თითოეულ ქალაქში 5 ქალთა და ხუთი ვაჟთა გუნდი შეიკრიბება). ფინალის დასკვნითი ეტაპი კი ჩატარდება აგვისტოში სვერდლოვსკში, სადაც საბოლოოდ გამოირკვევა თუ ვინ იქნება 1963 წლის ჩემპიონი. რა შანსები აქვს თბილისის „ბურევესტნიკს?" მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფინალში დაკარგული 2 ქულით შევიდნენ, მათ მაინც შეუძლიათ ოქროს მედლების შენარჩუნებისათვის ბრძოლა. I ჩემპიონატის ფინალში ისინი ხომ ერთი დაკარგული ქულით შევიდნენ და I ადგილის მოპოვება შეძლეს. ახლა მთავარია, რომ თბილისელებმა მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოკიდონ ხელი ამ დიდი ასპარეზობისათვის მზადებას.

# პირველი მოჭადრაკის სახელისათვის

XVI ტურში ბლაგიძემ დაამარცხა ბერაძე. ჯინჯიხაშვილმა მოუგო კალატოზიშვილს, ხოლო ლომაიამ — მიქაელიანს. მორიგი ქულა ჩაიწერა თავის აქტივში შიშოვმა გიორგაძესთან შეხვედრაში. ყაიმით დამთავრდა ჭანტურიასა და გურგენიძის შეხვედრა.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა. გადაიდო გაფრინდაშვილის პარტია თხელიძესთანაც. მსოფლიო ჩემპიონი უპირატესობას ინარჩუნებს გადადებულ პოზიციაში.

XVI ტურის შემდეგ ჩემპიონატის მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: 12 ქულით ცხრილს სათავეში უდგას ბ. გურგენიძე. შიშოვს 11 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე მიდიან: რ. ჯინჯიხაშვილი — 10,5 ქულა და თ. ლომაია 10 ქულა. ნ. გაფრინდაშვილს აქვს 9,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

# 4 : 1

16 მარტს ლესელიძეში თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა საკონტროლო მატჩი იაროსლავის „შინიკთან".

გამარჯვება ანგარიშით 4:1 მოიპოვეს თბილისელებმა (ბურთები გაიტანეს კალოევმა, დათუნაშვილმა, იამანიძემ და ბარქაიამ).

დინამოელები ლესელიძეში გამართავენ კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს.

# ვინ იქნება სამყაროს ნაკრების მწვრთნელი?

ფეხბურთში მსოფლიოს ნაკრების შემდგენელმა კომისიამ მაისის დასასრულისათვის ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტის კევანის (ირლანდია), დოქტორ მიურგელის (ბრაზილია), პროფ. ანდრეევიჩის (იუგოსლავია) და მაკგიირის (აშშ) შემადგენლობით უნდა დაასახელოს ინგლისის ნაკრებთან თამაშის 35 კანდიდატი. უკვე გამოქვეყნდა 29 ფეხბურთელის სია, რომლებიც კევანის აზრით ნაკრებში უნდა შევიდნენ. მოგვიანებით კომისია აირჩევს 15 ფეხბურთელს, რომლებიც გაივლიან საბოლოო შეკრებას.

ახლა ფიფა-მ უნდა გადაწყვიტოს თუ ვინ იქნება „სამყაროს ნაკრების" მწვრთნელი. წამოყენებულია ოთხი კანდიდატი: გუტმანი, შებეში (ორივე უნგრეთი), ჰერბერგერი (გფრ) და რიერა (ჩილი). გუნდს სათავეში ჩაუდგება ერთ-ერთი მათგანი, მაგრამ დანარჩენებს ეთხოვებათ კონსულტაციის გაწევა გუნდის შედგენისა და მომზადებისას.

ოთხივე ამ სპეციალისტს ფეხბურთის სამყაროში კარგად იცნობენ. გუტმანი 25 წლის განმავლობაში წვრთნის უნგრეთის, ურუგვაის, არგენტინის, ბრაზილიისა და სხვა ქვეყნების გუნდებს. მისი ხელმძღვანელობით პორტუგალიის „ბენფიკამ" ორჯერ ზედიზედ მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ასევე დიდი ავტორიტეტი აქვს შებეშს. 1950-54 წლებში მისმა „დიდმა გუნდმა", უნგრეთის ეროვნულმა ნაკრებმა, არ იცოდა დამარცხება. ფეხბურთის ისტორიკოსების აზრით ეს იყო უბრწყინვალესი გუნდი, რომელსაც ახლა მხოლოდ ბრაზილიის ეროვნული ნაკრები შეიძლება შეედაროს.

ჰერბერგერი მრავალი წლის განმავლობაში სათავეში უდგას გფრ-ს ნაკრებს. მის უდიდეს დამსახურებად ითვლება 1954 წელს უნგრეთის „დიდი გუნდის" დამარცხება და მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება. მსოფლიოს ნაკრების მწვრთნელობის კიდევ ერთი კანდიდატია ცნობილი ჩილელი მწვრთნელი რიერა, რომელმაც მოახერხა თავისი გუნდი მესამე ადგილზე გაეყვანა მსოფლიო ჩემპიონატში.

## ფეხბურთის ახალი ამბები

✦

# ევროპის ჩემპიონთა თასზე

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ყველაზე ადრე გავიდა ამ პრიზის მფლობელი — ლისაბონის „ბენფიკა", რომელმაც საკუთარ მინდორზე მოგებული მატჩის შემდეგ პრაღაში მიაღწია სასურველ ფრეს.

ამ დღეებში გამოვლინდნენ ნახევარფინალის სხვა მონაწილეებიც. იოლი ამოცანის წინაშე იდგა იტალიის ჩემპიონი „მილანი", რომელმაც ადრე სტამბოლში მოუგო ადგილობრივ „გალატასარაის" და საკუთარ მინდორზე ხვდებოდა თურქების გუნდს. იტალიელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს თამაში და იოლად დაამარცხეს მოწინააღმდეგე — 5:0.

თითქმის გარანტირებული ჰქონდა ნახევარფინალში მონაწილეობა შოტლანდიის ჩემპიონს „დანდის", ვინაიდან ამ გუნდმა ბრიუსელში დაამარცხა ადგილობრივი „ანდერლეჰტი" ანგარიშით 4:1. მატჩმა საკუთარ მინდორზე კვლავ მოუტანა წარმატება „დანდის" (2:1) და შოტლანდიელები გავიდნენ გათამაშების შემდგომ ეტაპში.

დიდ ინტერესს იწვევდა შეხვედრა როტერდამში ადგილობრივ „ფეიენოორდსა" და საფრანგეთის „რეიმსს" შორის. მართალია, ჰოლანდიელებს პირველი თამაში პარიზში მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:0, მაგრამ ფრანგებს შეეძლოთ რევანშის აღება უფრო დიდი ანგარიშითაც. „ფეიენოორდმა" შეძლო ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩის ფრედ დამთავრება (1:1) და გავიდა ნახევარფინალში.

ამრიგად, ტურნირს შემორჩა 4 მონაწილე: „ბენფიკა" (პორტუგალია), „დანდი" (შოტლანდია), „მილანი" (იტალია) და „ფეიენოორდი" (ჰოლანდია). მარტის დასასრულს მოხდება კენჭისყრა, რის შედეგადაც გამოვლინდება ნახევარფინალური წყვილები.

# სწორი გადაწყვეტილება

ქ. დეტროიტში ამას წინათ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სამოყვარულო სპორტის (ააიუ) კავშირის კონგრესი, რომელიც მიეძღვნა კრივის პრობლემებს. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ ხანებში ამერიკის სამოყვარულო კრივში ძალზე ხშირი გახდა ტრავმებისა და დასახიჩრების შემთხვევები. მათი თავიდან აცილების მიზნით მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებანი.

1963 წლის 1 იანვრიდან მოყვარული მოკრივე რინგზე გამოვა მხოლოდ საგანგებო დამცველი ქუდით. თვითეული რაუნდის ხანგრძლივობა 3 წუთიდან შემცირდა 2 წუთამდე, ხოლო ხელთათმანის წონა გაზრდილ იქნა 10 უნციამდე (ადრე მისი წონა უდრიდა 8 უნციას). გარდა ამისა, დაკანონდა კიდევ ერთი ახალი წესი: თუ მოკრივე მიღებული დარტყმის შედეგად დაეცა, არბიტრი ვალდებულია განაგრძოს თვლა გონგის შემთხვევაშიც კი.




**ევროპის** ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამოვლინდნენ ნახევარფინალის მონაწილენი. მადრიდის „ატლეტიკომ" საკუთარ სტადიონზე მოუგო ბულგარეთის „ბოტევს" — 4:0. ვინაიდან ესპანელებს ფრედ ჰქონდათ ნათამაშევი პირველი მატჩი (1:1), ისინი გავიდნენ ნახევარფინალში.

**ჩეხოსლოვაკიის** თასის მფლობელმა „სლოვანმა" პირველი შეხვედრა ლონდონის „ტოტენჰემთან" მოიგო ანგარიშით 2:0. განმეორებითი შეხვედრა გაიმართა ინგლისელთა მინდორზე და მათი სრული უპირატესობით აღინიშნა — 6:0. ამრიგად, „ტოტენჰემი" მოხვდა ნახევარფინალში.

**გრძელდება** უეფა-ს ტურნირი ჭაბუკთა გუნდებს შორის. ბულგარელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს იუგოსლავიის ნაკრები, დაამარცხეს იგი ანგარიშით 1:0 და მოიპოვეს უფლება ითამაშონ ფინალურ ტურნირში, რომელიც ინგლისში ჩატარდება.

**ამავე ტურნირის** მონაწილეებს — საფრანგეთისა და პორტუგალიის გუნდებს შორის შედგა ორი მატჩი, რომელთაგან ერთი მოიგეს პორტუგალიელებმა (4:2), ხოლო მეორე ფრანგებმა (3:1). მეორე მატჩის შემდეგ დაინიშნა დამატებითი დრო, რომელმაც ვერც ერთ გუნდს ვერ მისცა უპირატესობა. საჭირო შეიქნა კენჭისყრის მოწყობა აქვე მინდორზე, რომელმაც გამოავლინა ფინალის მონაწილე — საფრანგეთის ნაკრები.

**იუნიორთა** ფინალური ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე გამოვლინდა გფრ-სა და ავსტრიის გუნდებს შორის. გერმანელმა ფეხბურთელებმა დამატებით დროში შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და მისი მეოხებით მიაღწიეს წარმატებას.

# ჩემპიონატის ფორმულა

მიმდინარე წლის ოქტომბერში ლოძში ჩატარდება ევროპის პირველობა კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ჩემპიონატის მატჩები მოეწყობა რ. ბიუსნელის მარკის „პენსილვანიის" ბურთებით.

შეჯიბრებაში მონაწილე 16 კოლექტივი ოთხ ჯგუფად იქნება დაყოფილი. შეხვედრები მოეწყობა წრიული სისტემით. პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები შექმნიან ნახევარფინალურ ჯგუფს. კენჭისყრის შედეგები საბოლოოდ გამოცხადდება კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის სესიაზე ბეირუთში 14 ივლისს.

## საერთაშორისო შეჯიბრება




# 22-23-24 მარტი



# თავისუფალ ჭიდაობაში

**მონაწილეობენ:** ფინეთის, შვეციის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, იაპონიის, ირანის, ბულგარეთისა და სსრ კავშირის უძლიერესი სპორტსმენები.

დასაწყისი 12 და 19 საათზე.

რედაქტორი ი. უგულავა.

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი

კალათბურთი

სსრ კავშირის პირველობა

დ ღ ე ს!

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი)

დასაწყისი 20 საათზე.

ЛЕЛО ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05881